

**საქართველოს კანონი**  
**ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების,**  
**პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ**

**თავი I**  
**ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ**

საქართველოს კანონმდებლობა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შედგება ამ კანონისაგან, სხვა კანონებისა და მათ საფუძველზე შემუშავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

**მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ნარკოტიკული საშუალება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების სიაში;

ბ) ფსიქოტროპული ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებების სიაში;

გ) პრეკურსორი – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ დამზადებისას და გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეკურსორების სიაში;

დ) მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება – საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის აკრძალული, განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული საშუალება, რომლის გამოყენებაც ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით;

ე) შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება – საქართველოში სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ნარკოტიკული საშუალება;

ვ) პრეპარატი – ნებისმიერ ფიზიკურ მდგომარეობაში არსებული კომბინირებული წამლის ფორმა, რომელიც შეიცავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ერთ ან რამდენიმე ნივთიერებას;

ზ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების სიები (სიები) – საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ჩამონათვალი;

თ) ნარკოტიკული საშუალების ანალოგი – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის უცნობი ნივთიერება, რომელიც შეტანილი არ არის სიებში, მაგრამ თავისი ფსიქოაქტიური მოქმედებით ნარკოტიკული საშუალების მსგავსია;

ი) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები – ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება და პრეკურსორი;

კ) სპეციალური კონტროლი – საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის ლეგალურ ბრუნვაზე დაწესებული განსაკუთრებული კონტროლი;

ლ) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის ბრუნვა – ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველ მცენარეთა დათესვა, მოყვანა და კულტივირება; ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და

პრეკურსორის შექმნა, წარმოება, მომზადება, გადამუშავება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, გაცემა, რეალიზაცია, განაწილება, შექმნა, გამოყენება, მოხმარება, განადგურება, შემოტანა, გატანა, ტრანზიტი და რეექსპორტი;

მ) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის ლეგალური ბრუნვა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვა საქართველოს კანონმდებლობის დაცვით;

ნ) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის უკანონო ბრუნვა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით;

ო) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის შექმნა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ახალი ნივთიერების შემუშავება;

პ) ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების ფარმაცევტული წარმოება – ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების სერიული მიღება შესაბამისი ლიცენზიის მქონე საწარმოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ჟ) ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების მომზადება – სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებისათვის წამლის ფორმის მიცემა შესაბამისი ლიცენზიის მქონე აფთიაქში, რეცეპტის საფუძველზე, სათანადო ტექნოლოგიით;

რ) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის გადამუშავება – პრეპარატის რაფინირება (უცხო მინარევებისაგან გაწმენდა), მისგან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გამოყოფა, ამ ნივთიერების კონცენტრაციის შეცვლა, ან ისეთი ნივთიერებების მიღება, რომლებიც არ ექვემდებარება სპეციალურ კონტროლს;

ს) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის გადაგზავნა – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება ნებისმიერი საშუალებით, ტვირთის გამგზავნის, მიმღებისა და ადრესატის დაუსწრებლად;

ტ) ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების გადაზიდვა – ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება ნებისმიერი საშუალებით, მათი განმკარგავი ან მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ;

უ) ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების გაცემა – უფლებამოსილი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების გაცემა იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე სათანადო დანიშნულებით, უფასოდ ან დადგენილი ფასით;

ფ) ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების რეალიზაცია – უფლებამოსილი იურიდიული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების გასხვისება იურიდიულ პირზე;

ქ) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის გამოყენება – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ღ) ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება – ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, რაც ისჯება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით;

ყ) ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების და პრეკურსორის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა (შემოტანა, გატანა) – სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სხვა სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადატანა;

ყ<sup>1</sup>) ფსიქოტროპული ნივთიერების იმპორტი ან ექსპორტი – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული იმპორტი ან ექსპორტი;

შ) ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების სახელმწიფო კვოტა – საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებასა და ფსიქოტროპულ

ნივთიერებაზე საქართველოს წლიური მოთხოვნილების საფუძველზე განსაზღვრული და გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ლიმიტი;

ზ) ნარკომანია – დაავადება, რომელიც ხასიათდება ნარკოტიკული საშუალებების მიღებისადმი მზარდი, დაუძლეველი სურვილით მათ მიმართ ჩამოყალიბებული ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულების გამო;

ც) ნარკომანიით დაავადებული პირი – პირი, რომელსაც შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი აქვს დიაგნოზი „ნარკომანია“;

ძ) მომხმარებელი – პირი, რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ მის მიმართ ჩამოყალიბებული არა აქვს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულება;

წ) სომატონარკომანი – ტკივილის სინდრომით მიმდინარე რომელიმე სომატური ავადმყოფობით დაავადებული პირი, რომელსაც კანონიერად დაენიშნა ნარკოტიკული საშუალება და მის მიმართ ჩამოყალიბებული აქვს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულება;

ჭ) სარეაბილიტაციო ღონისძიებები – ნარკომანიით დაავადებულ პირთა გამოჯანმრთელებისაკენ და საზოგადოებრივ-შრომითი ინტეგრაციისაკენ მიმართული სამედიცინო და სოციალური ღონისძიებების სისტემა.

*საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 03.12.2010 წ., მუხ. 414*

*საქართველოს 2012 წლის 16 მარტის კანონი №5858 – ვებგვერდი, 28.03.2012წ.*

*საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5960 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.*

### **მუხლი 3. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების სიები**

1. ამ კანონით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შემდეგ სიებში (თან ერთვის):

ა) I სია – ნარკოტიკული საშუალებების კრებსითი ჩამონათვალი;

ბ) II სია – მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალი;

გ) III სია – შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალი;

დ) IV სია – ფსიქოტროპული ნივთიერებების ჩამონათვალი;

ე) V სია – პრეკურსორების ჩამონათვალი.

2. სიებს გაეროს კონვენციების მოთხოვნათა, ასევე ადგილობრივი ნარკოლოგიური და კრიმინალური სიტუაციის გათვალისწინებით შეიმუშავებს და მათში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებებს ამზადებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

3. სათანადო დასაბუთების შემთხვევაში სიებში ხდება ცვლილებების შეტანა, კერძოდ, რომელიმე ნივთიერების, მისი შემცველი მცენარის ან პრეპარატის დამატება, ერთი სიიდან მეორეში გადატანა ან ამოღება.

4. სიებში ცვლილებების შეტანის საფუძველია:

ა) გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის ოფიციალური ინფორმაცია;

ბ) რომელიმე ნივთიერების, მისი შემცველი მცენარის ან პრეპარატის ნარკოტიკული საშუალებისათვის ან ფსიქოტროპული ნივთიერებისათვის მიკუთვნების დასაბუთებული აუცილებლობა;

გ) რომელიმე ნივთიერების, მისი შემცველი მცენარის ან პრეპარატის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ზრდის ტენდენციის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები.

5. აკრძალულია საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების, მისი შემცველი მცენარის ან პრეპარატის იმ სიაში გადატანა, რომელზედაც დაწესებულია ნაკლებად მკაცრი კონტროლი, ვიდრე ეს საერთაშორისო მოთხოვნებით არის გათვალისწინებული.

6. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები სიებში შეიტანება მათი საერთაშორისო არაპატენტირებული (გენერიკული) ან ქიმიური დასახელებებით, ასეთის არარსებობისას კი – სავაჭრო, სამეცნიერო ან საყოველთაოდ მიღებული დასახელებებით.

7. უკანონო ბრუნვიდან ამოღებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების დასჯად ოდენობებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

#### **მუხლი 4. პრეპარატების კონტროლის რეჟიმი**

1. პრეპარატებზე ვრცელდება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების მიმართ ამ კანონით წაყენებული ყველა მოთხოვნა და მათზე დაწესებულია კონტროლის ისეთივე რეჟიმი, როგორც მათ შემადგენლობაში შემავალ ნივთიერებებზე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ნებადართულია კონტროლის რეჟიმის შერბილება ან მოხსნა საქართველოში რეგისტრირებულ პრეპარატებზე, თუ ისინი არ მოიხმარება უკანონოდ ან მცირეა მათი ბოროტად გამოყენების რისკი ან ტექნიკური საშუალებების გარეშე შეუძლებელია მათგან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების იმ ოდენობით გამოყოფა, რომლითაც შეიქმნება ამ ნივთიერებების უკანონო ბრუნვის საშიშროება, და ისინი თავისი შემადგენლობით ან სავაჭრო დასახელებით არ არის შეტანილი სიებში.

3. ნებადართულია კონტროლის რეჟიმის გამკაცრება ფსიქოაქტიური მოქმედების იმ სამკურნალო საშუალებებზე, რომლებიც არ მიეკუთვნებიან და არ შეიცავენ ამ კანონით გათვალისწინებულ ნარკოტიკულ საშუალებებს და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, მაგრამ მათი მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან/და ართულებს ქვეყანაში შექმნილ ნარკოვითარებას.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სამკურნალო საშუალებების წუსხასა და ბრუნვის წესებს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

*საქართველოს 2003 წლის 22 ივლისის კანონი №2556 - სსმ I, №24, 20.08.2003 წ., მუხ.181*

#### **მუხლი 5. კანონის მიზნები და ძირითადი პრინციპები**

1. ეს კანონი ადგენს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვისა და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ საფუძვლებს და მიზნად ისახავს ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებას.

2. ამ კანონის ძირითადი პრინციპებია:

- ა) გაეროს კონვენციების მოთხოვნათა შესრულება;
- ბ) სპეციალური კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფა;
- გ) ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის ცალკეულ სახეობებზე სახელმწიფოს კომპეტენციის განსაზღვრა;
- დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის ცალკეულ სახეობათა ლიცენზირების უზრუნველყოფა;
- ე) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მიმართულ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა პრიორიტეტულობა, ნარკომანიის საწინააღმდეგო პროპაგანდის სტიმულირება.

#### **მუხლი 6. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის სფეროში სახელმწიფოს კომპეტენცია**

1. ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში შემოტანა ხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო დაკვეთით. ნარკოტიკული საშუალებების შემომტანებთან სახელმწიფო დამკვეთს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბრუნვაზე კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

3. ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოების მოცულობას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

## **მუხლი 7. ნარკოტიკული საშუალებების და მათი ანალოგების ბრუნვის აკრძალვა**

საქართველოში აკრძალულია:

- ა) II სიაში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ბ) ნარკოტიკული საშუალებების ანალოგების ბრუნვა;
- გ) III სიაში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვა.

## **მუხლი 8. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების სახელმწიფო კვოტები**

1. საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების სახელმწიფო კვოტებს ყოველწლიურად განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დასამტკიცებლად წარუდგენს გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.

1<sup>1</sup>. სახელმწიფო უზრუნველყოფს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ხელმისაწვდომობას საჭირო რაოდენობითა და ფორმით, სამედიცინო, სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა მიზნებისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. იურიდიული პირები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მის მიერ დადგენილ ვადაში და დადგენილი ფორმით, ყოველწლიურად წარუდგენენ ინფორმაციას ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

*საქართველოს 2007 წლის 8 მაისის კანონი №4720 - სსმ I, №18, 22.05.2007 წ., მუხ.150*

## **მუხლი 9. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შეფუთვა და მარკირება**

1. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შეფუთვა და მარკირება, განისაზღვრება ამ კანონით და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. საქართველოში წარმოებული ფსიქოტროპული ნივთიერების, აგრეთვე საქართველოში შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შეფუთვის ფორმა უნდა გამოირიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად წამალთან შეხების შესაძლებლობას.

## **მუხლი 10. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების პროპაგანდისა და რეკლამის აკრძალვა**

1. საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების პროპაგანდა და რეკლამა – ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შექმნის, მოხმარებისა და გამოყენების მეთოდების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ამ მიზნით წიგნების, ბროშურებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, მათ შორის, ინტერნეტის გამოყენება, გარდა სპეციალიზებული პროფესიული ლიტერატურისა.

2. აკრძალულია ნარკოტიკული საშუალების მომზადების პირობების და შექმნის ადგილების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გავრცელება.

3. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ ინფორმაციის გავრცელება რეგულირდება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების ნიმუშების გავრცელება ნებადართულია მხოლოდ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

## **თავი II**

**ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვისა და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო მართვის ორგანიზაციული საფუძვლები**

**მუხლი 11. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ბრუნვის სამართლებრივი რეგულირება**

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ბრუნვის სამართლებრივ რეგულირებას ახორციელებენ მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

**მუხლი 12. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვისა და ნარკოლოგიური დახმარების კონტროლი**

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის წესების შესრულებასა და ნარკოლოგიური დახმარების კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შესაბამისი სამსახურების მეშვეობით.

2. ნარკოლოგიური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და ნარკოლოგიური დახმარების კონტროლის მიზნით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ნარკოლოგიის ეროვნული ცენტრი“, რომელიც მეთოდურ ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს ნარკოლოგიური მომსახურებისა და დახმარების განმახორციელებელ დაწესებულებებს (განურჩევლად დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა).

*საქართველოს 2003 წლის 22 ივლისის კანონი №2556 - სსმ I, №24, 20.08.2003 წ., მუხ. 181*

**მუხლი 13. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის განხორციელების წესები**

1. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შენახვისა და განადგურების, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის წესებს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების მომზადების, აღრიცხვის, გაცემის, რეალიზაციის, განაწილების, შექმნისა და გამოყენების, აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერების წარმოების, ფარმაცევტული წარმოებისათვის საჭირო დანადგარების ლეგალური ბრუნვის განხორციელების წესებს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

3. უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შენახვისა და განადგურების წესებს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**თავი III**

**ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის სფეროში საქმიანობის ლიცენზირება**

**მუხლი 14. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის სფეროში საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები**

1. ლიცენზირებას ექვემდებარება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის შემდეგი სახეობები: ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შექმნა, მომზადება, გადამამუშავება, გაცემა, რეალიზაცია, შექმნა, გამოყენება, შემოტანა, გატანა, აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოება.

2. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ლიცენზიას გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ლიცენზირების წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის სახეობის შეცვლისას იურიდიული პირი ვალდებულია აიღოს ლიცენზია ახალ საქმიანობაზე.

5. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ლიცენზიას გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიცენზიის გაცემისას მოთხოვნილ უნდა იქნეს სერტიფიკატი შენობა-ნაგებობისა და სათავსის გამოყენებაზე და ლიცენზიის მამიებელი პასუხისმგებელი პირის პროფესიული მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტი. ლიცენზია არ გაიცემა იმ პირზე, რომელიც მსჯავრდებული იყო (გარდა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებისა) ანდა იმყოფება ან იმყოფებოდა აღრიცხვაზე ნარკოლოგიურ დაწესებულებაში.

6. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის სფეროში გაცემული ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და შეწყვეტა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 15. შენობა-ნაგებობისა და სათავსის გამოყენების სერტიფიცირება**

1. შენობა-ნაგებობისა და სათავსის გამოყენებაზე სერტიფიცირებას ექვემდებარება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის სფეროში დასაქმებული იურიდიული პირი.

2. შენობა-ნაგებობისა და სათავსის გამოყენებაზე სერტიფიკატს გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. შენობა-ნაგებობისა და სათავსის გამოყენებაზე სერტიფიკატის ფორმას და გაცემის წესს ამტკიცებენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა და ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრები.

## **თავი IV**

### **ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეპარატების ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის ცალკეული სახეობების განხორციელება**

#### **მუხლი 16. ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარეების დათესვა, მოყვანა და კულტივირება**

საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების შემცველი მცენარეების დათესვა, მოყვანა და კულტივირება.

#### **მუხლი 17. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შექმნა**

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შექმნის უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს.

#### **მუხლი 18. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეპარატების წარმოება**

1. საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების წარმოება.

2. შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს უფლება აქვს აწარმოოს:

ა) IV სიაში მითითებული, ფარმაცევტული წარმოებისათვის ნებადართული ფსიქოტროპული ნივთიერებები;

ბ) პრეპარატები, რომლებიც შეიცავს III სიაში მითითებულ, ფარმაცევტულ საქმიანობაში გამოყენებისათვის ნებადართულ ნარკოტიკულ საშუალებებს, და მზა პროდუქციის სახით არ იქნება შეტანილი ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალში.

3. საქართველოში წარმოებისათვის ნებადართული პრეპარატების შემადგენლობაში III სიაში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების ზღვრულ ოდენობებს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

### **მუხლი 19. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების გადამუშავება**

საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების გადამუშავება, გარდა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით გადამუშავებისა.

### **მუხლი 20. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შენახვა**

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შენახვის უფლება აქვს:

ა) ფიზიკურ პირს – პირადი მოხმარებისათვის, სამკურნალო მიზნით;

ბ) შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს, ხოლო მხოლოდ პრეკურსორისა – ინდივიდუალურ მეწარმეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მიზნითა და წესით;

გ) უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შენახვის უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო დაწესებულებას.

2. შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს უფლება აქვს შეინახოს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების, ხოლო ინდივიდუალურ მეწარმეს – მხოლოდ პრეკურსორების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა მათი საქმიანობისათვის.

3. საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების საბაჟო საწყობში შენახვა საწყობის სასაქონლო ოპერაციის გამოყენებით.

*საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 03.12.2010 წ., მუხ.414*

*საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5960 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.*

### **მუხლი 21. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შექმნა**

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შექმნის უფლება აქვს:

ა) ფიზიკურ პირს – სამკურნალო მიზნით, რეცეპტის საფუძველზე;

ბ) შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს – აღნიშნულ საქმიანობაზე შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის განხორციელების მიზნით.

### **მუხლი 22. ნარკოტიკული საშუალებების გადაგზავნა**

საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების გადაგზავნა.

### **მუხლი 23. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გაცემა**

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გაცემის უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს – აღნიშნულ საქმიანობაზე შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირზე, აგრეთვე ფიზიკურ პირზე სათანადო დანიშნულებით, რეცეპტის საფუძველზე.

### **მუხლი 24. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების რეალიზაცია**

1. III და IV სიებში მითითებული, საქართველოში რეგისტრირებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს.

2. აკრძალულია III და IV სიებში მითითებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების რეალიზაცია შესაბამისი ლიცენზიის არმქონე იურიდიულ პირზე.

### **მუხლი 25. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გადაზიდვა**

1. ლეგალური ბრუნვისათვის დაშვებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გადაზიდვის უფლება აქვს მათ გამოყენებაზე შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს.

2. იურიდიული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალებების გადაზიდვა ხორციელდება მხოლოდ პოლიციის დაცვის თანხლებით.

3. ნარკოტიკული საშუალებების გადაზიდვის დროს პოლიციის მიერ დაცვის განხორციელებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების წესს ამტკიცებენ საქართველოს შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრები.

4. ფიზიკურ პირს უფლება აქვს გადაზიდოს ნარკოტიკული საშუალება მისი შეძენის დამადასტურებელ, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტთან ერთად. ასეთი დოკუმენტის ფორმას და გაცემის წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

### **მუხლი 26. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შემოტანა, გატანა, ტრანზიტი და რეექსპორტი**

1. III და IV სიებში მითითებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს.

2. II სიაში მითითებული ნარკოტიკული საშუალებების შემოტანა ნებადართულია მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით. ამ მიზნით შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებების მიმღებ ორგანიზაციათა ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ნარკოტიკული საშუალების შემოტანამდე (გატანამდე) შემომტანი (გამტანი) იურიდიული პირი ვალდებულია მიიღოს წინასწარი ნებართვა, რომელსაც გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3<sup>1</sup>. ფსიქოტროპული ნივთიერების იმპორტის ან ექსპორტის განხორციელებამდე იურიდიული პირი ვალდებულია მიიღოს წინასწარი ნებართვა, რომელსაც გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

4. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გატანის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით მოითხოვს ინფორმაციას გატანილი ნივთიერებების რაოდენობისა და დანიშნულების ადგილამდე მიტანის შესახებ.

5. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული წესით აწვდის ინფორმაციას შემოტანილი ნივთიერებების რაოდენობის შესახებ.

6. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საქართველოში შემოტანის (საქართველოდან გატანის) შემდეგ საგადასახადო ორგანოები აფიქსირებენ შემოტანილი (გატანილი) ნივთიერებების რაოდენობას და ამ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზავნიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

7. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ საბაჟო გამშვები პუნქტების ნუსხას, საიდანაც ნებადართული იქნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანა და გატანა, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. აკრძალულია ნარკოტიკული საშუალების:

ა) შემოტანა ან გატანა საფოსტო ყუთის ან ბანკის მისამართით;

ბ) გატანა მიწერთი საბაჟო საწყობის/საბაჟო ტერმინალის მისამართით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ წინასწარ ნებართვაში მითითებულია მიწერთი საბაჟო საწყობი/საბაჟო ტერმინალი;

გ) ტრანზიტი;

დ) რეექსპორტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობას.

8<sup>1</sup>. აკრძალულია ფსიქოტროპული ნივთიერების შემოტანა ან გატანა საფოსტო ყუთის ან ბანკის მისამართით.

9. ნარკოტიკული საშუალების წინასწარი ნებართვის გარეშე შემოტანის ან ფსიქოტროპული ნივთიერების წინასწარი ნებართვის გარეშე იმპორტის მცდელობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს ტვირთის უკან დაბრუნებას მომწოდებლის ხარჯით.

10. საქართველოში სტიქიური უბედურების ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შემომტანი და გამტანი იურიდიული პირები არ საჭიროებენ წინასწარ ნებართვას. ამ დროს შემოტანილი, სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვაზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული კონტროლის რეჟიმი.

11. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესებს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურთან შეთანხმებით.

*საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4267 - სსმ I, №51, 31.12.2006 წ., მუხ.426*

*საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 03.12.2010 წ., მუხ.414*

*საქართველოს 2012 წლის 16 მარტის კანონი №5858 – ვებგვერდი, 28.03.2012წ.*

*საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5960 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.*

### **მუხლი 27. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების რეცეპტის გამოსაწერი სპეციალური ბლანკის შეკვეთა, დამზადება, შექმნა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემა და რეცეპტის გამოწერა**

1. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების რეცეპტის გამოწერა ნებადართულია მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ ბლანკზე.

2. რეცეპტის გამოსაწერი სპეციალური ბლანკის შეკვეთის, დამზადების, შექმნის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და რეცეპტის გამოწერის წესებს ამტკიცებს და ამ წესების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. იმ სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალს, რომელთა რეცეპტიც სპეციალურ ბლანკზე უნდა გამოიწეროს, ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

4. შესაბამისი სერტიფიკატის მფლობელ ექიმს უფლება აქვს სპეციალურ ბლანკზე გამოწეროს III და IV სიებში მითითებული, საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების რეცეპტი.

### **მუხლი 28. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების განადგურება**

განადგურებას ექვემდებარება:

ა) უკანონო ბრუნვიდან ამოღებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები;

ბ) ავადმყოფის მკურნალობისათვის გაცემული და უკან დაბრუნებული ნარკოტიკული საშუალებები;

გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

### **მუხლი 29. პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესები**

სხვადასხვა სფეროში გამოყენებისათვის ნებადართული პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესებს საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით შეიმუშავებენ საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი V

### ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენების სფერო

#### **მუხლი 30. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება სამედიცინო მიზნით**

1. სამედიცინო მიზნით ნებადართულია III და IV სიებში მითითებული, საქართველოში რეგისტრირებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს სამკურნალო დანიშნულების იმ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ჩამონათვალსა და რაოდენობას, რომელთა გამოყენებაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ნებადართულია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტში, მათ შორის, საერთაშორისო რეისების შესრულებისას.

3. ნებისმიერი ტრანსპორტით საერთაშორისო რეისების შესრულებისას ან საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებისას, შესაბამისად მგზავრთა და მონაწილეთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ნებადართულია სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული რაოდენობით გადაზიდვა საქართველოს ტერიტორიის გავლით. აღნიშნული პროცესი არ განიხილება როგორც შემოტანა, გატანა ან ტრანზიტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს შესაბამის დოკუმენტს, რომელიც საქართველოს საგადასახადო ორგანოებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გატარების საფუძველია.

*საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4267 - სსმ I, №51, 31.12.2006 წ., მუხ.426*

*საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 03.12.2010 წ., მუხ.414*

#### **მუხლი 31. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება ტრანზიტით მიმავალი ავადმყოფის მკურნალობისათვის**

1. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალ ავადმყოფს უფლება აქვს, მკურნალობის მიზნით თან იქონიოს ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები სათანადო სამედიცინო და საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან ერთად.

2. თუ ტრანზიტით მიმავალი ავადმყოფი ვერ ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, მაგრამ მკურნალობის გასაგრძელებლად საჭიროებს ნარკოტიკულ საშუალებებს და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, მაშინ ამ სამკურნალო საშუალებებით ავადმყოფის უზრუნველყოფა ხდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

*საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 03.12.2010 წ., მუხ.414*

*საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5960 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.*

#### **მუხლი 32. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება საექსპერტო საქმიანობაში**

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საექსპერტო საქმიანობაში გამოყენების უფლება აქვთ შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს და საამისოდ უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებას.

#### **მუხლი 33. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება ვეტერინარიაში**

ვეტერინარული სამსახურებისა და ცხოველთა ჰერის საქმიანობისათვის საჭირო ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენების წესს ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 34. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების გამოყენება სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დიაგნოსტიკური მიზნით**

სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დიაგნოსტიკური მიზნით ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მფლობელ იურიდიულ პირს, ხოლო მხოლოდ პრეკურსორებისა – ინდივიდუალურ მეწარმეს.

**მუხლი 35. ანგარიშგება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის სფეროში საქმიანობის შესახებ**

ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული პირი და ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 36. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაცია**

ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია რეგისტრირდება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომლის წარმოების წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

**თავი VI**

**შეზღუდვები ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიმართ**

**მუხლი 37. პროფესიულ საქმიანობაზე დადგენილი შეზღუდვები**

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის, მორალური ფასეულობების, უფლებებისა და სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიმართ საქართველოში დადგენილია შეზღუდვები ცალკეულ პროფესიულ საქმიანობებზე, მათ შორის, მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პროფესიულ საქმიანობათა ნუსხას განსაზღვრავენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და იუსტიციის სამინისტროები.

**თავი VII**

**ნარკოლოგიური დახმარება**

**მუხლი 38. ნარკოლოგიური დახმარების ზოგადი პრინციპები**

1. სახელმწიფო აფინანსებს ნარკომანიით დაავადებული პირის გამოკვლევასა და ექსპერტიზას, დიაგნოსტიკას, დისპანსერიზაციას, მკურნალობას და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

2. ნარკომანიით დაავადებულ პირს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, გაცხადებულად ან ანონიმურად, ნებაყოფლობითი ან სავალდებულო წესით. არასრულწლოვან პაციენტს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ან საკუთარი სურვილით.

3. ნარკომანიით დაავადებული პირის მკურნალობა ნარკოტიკული საშუალებებით აკრძალულია, გარდა სასიცოცხლო ჩვენებისა, სტაციონარის პირობებში შესაბამისი სტანდარტის მიხედვით ნარკოტიკული დამოკიდებულების მოხსნის პერიოდისა, აგრეთვე ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამის განხორციელებისა.

4. ნარკომანიის ჩანაცვლებითი პროგრამით მკურნალობის მეთოდიკას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შესაბამისი ნორმატიული აქტით.

5. ნარკომანიით დაავადებულ პირთა, მომხმარებელთა, აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერების მომხმარებელთა გამოკვლევისა და ექსპერტიზის, დიაგნოსტიკის, დისპანსერიზაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის წესებს შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარების, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

6. გამოკვლევის, ექსპერტიზისა და დიაგნოსტიკის შემთხვევებში ნარკომანიით დაავადებულ პირზე ვრცელდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

*საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2949 - სსმ I, №15, 16.05.2006 წ., მუხ.102*

*საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კანონი №4190 - სსმ I, №49, 29.12.2006 წ., მუხ.360*

### **მუხლი 39. ნარკომანიით დაავადებულ პირთა გამოვლენა, აღრიცხვა და ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების მიღების ფაქტის დადგენა**

1. ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღების ფაქტები დგინდება კლინიკური ან/და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტით.

2. ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში თავსდება ინფორმაცია საქართველოში ნარკომანიით დაავადებულ პირთა შესახებ. ანონიმური მკურნალობის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებებს უფლება აქვთ, საინფორმაციო ბანკში ინფორმაცია გააგზავნონ პაციენტის პერსონალური მონაცემების გარეშე. ასეთი მონაცემები წარმოადგენს საექიმო საიდუმლოებას, რომლის განსაიდუმლოება ხდება პაციენტის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3. ნარკომანიის დიაგნოსტიკას ახდენს სამედიცინო დაწესებულება კომისიური წესით (არანაკლებ სამი ექიმი-ნარკოლოგის მონაწილეობით), რომელიც ნარკომანიით დაავადებულ პირზე სამ ეგზემპლარად ადგენს სააღრიცხვო ბარათს. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს, მეორე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო მესამე – რჩება დაწესებულებაში.

4. ნარკომანიით დაავადებული პირი მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ სამი წლის განმავლობაში იმყოფება დისპანსერულ მეთვალყურეობაზე.

5. ნარკომანიით დაავადებული პირის დისპანსერიზაციის, აგრეთვე სომატონარკომანის მეთვალყურეობისა და მკურნალობის წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

*საქართველოს 2003 წლის 28 მარტის კანონი №2048 - სსმ I, №10, 24.04.2003 წ., მუხ.55*

*საქართველოს 2003 წლის 3 დეკემბრის კანონი №3132 - სსმ I, №32, 22.12.2003 წ., მუხ.233*

*საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2949 - სსმ I, №15, 16.05.2006 წ., მუხ.102*

### **მუხლი 40. ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა**

1. ნარკომანიით დაავადებულ პირს მკურნალობა უტარდება სამედიცინო დაწესებულებაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტების ფარგლებში.

2. ნებაყოფლობითი მკურნალობის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებულ პირს უფლება აქვს დადგენილი წესით შეინარჩუნოს ანონიმურობა, საკუთარი სახსრებით, არანაკლებ სიცოცხლეში ერთხელ კი – სახელმწიფოს ხარჯზე ჩაიტაროს მკურნალობის სრული კურსი.

3. ანონიმური მკურნალობის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებული პირი ვალდებულია სამედიცინო დაწესებულებას დადგენილი წესით წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ასეთი საბუთის საფუძველზე პაციენტს ენიჭება სპეციალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის გაშიფვრა ხდება მისი თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

4. პაციენტის მიერ პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის, მისთვის საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭებისა და კონფიდენციალობის დაცვის წესებს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობის სახეებია:

ა) ნარკოტიკული დამოკიდებულების მოხსნა თავისუფლების დროებითი შეზღუდვის ან პატიმრობაში ყოფნის შემთხვევაში;

ბ) მკურნალობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.

7. თუ ნარკომანიით დაავადებულ პირს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი და იგი უარს აცხადებს ნებაყოფლობით მკურნალობაზე, სავალდებულო მკურნალობის აუცილებლობას და ხანგრძლივობას განსაზღვრავს სამედიცინო დაწესებულება კომისიური წესით, რის საფუძველზედაც სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება პირისათვის სავალდებულო მკურნალობის ჩატარების შესახებ. სრულწლოვან პაციენტებს სავალდებულო მკურნალობა უტარდება სპეციალიზებულ, დახურული ტიპის ნარკოლოგიურ დაწესებულებაში, ხოლო არასრულწლოვან პაციენტებს – სპეციალიზებულ, დახურული ტიპის სამკურნალო აღმზრდელობით დაწესებულებაში. სავალდებულო მკურნალობა წყდება შესაბამისი დაწესებულების კომისიური გადაწყვეტილების საფუძველზე. სავალდებულო მკურნალობისათვის თავის არიდება ისჯება კანონით.

